

\*\*\*

მაშინ , როდესაც შენი შვილი ტირის, ტირის იმის გამო, რომ რამდენიმე საათიანი თამაშის შემდეგ შენი აიფონ 6 ცოტახნით გამოართვი ხელიდან, უცნაური გრძნობა გეუფლება არა ?! თითქოს არაფერი დაგიშავებია, მაგრამ შენ დედა ხარ და ვალდებულებას გრძნობ შენს შვილს არ მოაკლო ის, რაც აბედნიერებს და ახალისებს. შემდეგ ფიქრობ : ბავშვია, რა ქნას?! გართობა უნდა და ისევ უბრუნებ მას აიფონს. შენი შვილი მობილურში თამაშობს, ანიმაციურ გმირებს ებრძვის, მაშინ , სწორედ მაშინ, როდესაც სხვა ბავშვი რეალურ ბრძოლის ველზე, 0.რეალურ დუელში თვით ცხოვრებას გამოუწვევია.

ის მხოლოდ ოთხი წლისაა... პატარა ხუჭუჭთმიანი ბიჭუნა, თავის გაუხეშებულ, მტვერნარევ, დაღლილ, სახეზე ჩამოყრილ კულულებს, გაშავებული, პატარა ხელით რომ გადაიწვეს, მაშინ უკვე აღარაფერი აბრკოლებს ყურადღებით დაათვალიეროს თითოეული იმ ადამიანის სახე, რომლებსაც ასეთი დიდი იმედით შეჰყურებს. ყურადღებით იმიტომ, რომ სირცხვილის გრძნობა, თავისი ძველისძველი მაისურივით გაცრეცილა, გახუნებულა და გაუფერულებულა მისთვის. მუხლებზე კანი გადაქექილი აქვს და ხორცი, თუმცა სად არის მის პაწაწინა ძვლებზე ხორცი, რაც არის, ის ეპითელური თუ კუნთოვანი კანის ქსოლვილი მუქ ლურჯად შეფერილია, ისევე, როგორც ლაკმუსი ტუტეში... ბუნებრივია, რადგან მუხლებზე დაჩოქილს მატარებლის ცივ, უხემ იატაკზე, დღეში რამდენხანს უწევს დგომა ვინ იცის... მას ხომ მკაცრად უბრძანა დედამ – მიუტანოს რაც შეიძლება მეტი, რათა მისი მუხლების ფერი სხეულის სხვა ნაწილებმაც არ გაიზიაროს!

შიში... დედის ფეხებზე ხვეწნა–მუდარით შემოხვეულს, უშედეგო თავის მართლების შემდეგ მოსალოდნელი ტკივილის შიში, რას არ გააკეთებინებს ადამიანს... კანკალის შიში და იმის შიში, რომ კიდურების თრთოლვას ერთ დღესაც ვეღარ დაიმორჩილებს, სიბნელის შიში, იმ სიბნელის მაგრად რომ დახუჭავს ხოლმე თვალებს და მთელი სიმტკიცით უძლებს სასჯელის სიმძიმეს. ეს ის წამია როდესაც „ყველა ფერი“ ჩამოგექცევა, ირგვლივ მხოლოდ სიბნელეა, ჭექა–ქუხილი რომ დაიპყრობს შენს სხეულს, მაგრამ ერთი განსხვავებით, მას ელვა არ ახლავს, რადგან სინათლის არანაირი წყარო აღარ დარჩა შენში.

ეს უკვე მისი ცხოვრების ადაპტირებული გზაა, ფანტაზიის უნარსაც კი არ ძალუძს წარმოდგენა, როგორ წავა ნაყინის საჭმელად მზრუნველ დედასთან ერთად. არა! მისთვის ასეთი ცხოვრება ფიქრებშიც კი არ არსებობს, ან როდის უნდა იფიქროს ამაზე, ის ხომ ორი თვიდან დაჰყავდა დედას, სხეულის წინა ფასადზე რაღაც „დამპალი თოკებით“ მიბმული, ერთი გაჩერებიდან მეორეზე, მესამეზე, მეჩვიდმეტეზე... და ასე გადიოდა წლები. ახლა უკვე „დიდი ბიჭია“ დამოუკიდებლად უძღვება საქმიანობას, სხვის მიერ გადაწყვეტილ–საკუთარ ცხოვრებაში. რთულია... რთულია, როცა ეწირები და მაინც შენსკენ იშვერენ თითს.

მიუხედავად იმისა რომ ამქვეყნად მისი მოვლინების მიზეზი სიყვარული არ ყოფილა, მას სიყვარული მაინც შეუძლია! კრემიანი ფუნთუშა უყვარს, ძალიან უყვარს! შიმშილით გული რომ არ წაუვიდეს ჰყოფნის „თავხედობა“ და 60 თეთრიან კრემიან ფუნთუშას ყიდულობს ხოლმე, შემდეგ კი გარბის თავის სამალავში. მთავარია არავინ დაინახოს და არ უთხრას დედას! ქუჩის კუთხეში ორ ნაგვის ურნას შორის ჩაჯდება და სანამ ფუნთუშა, ჯერკიდევ ხელში უჭირავს, სანამ ჭამას დაიწყებს მისი თბილი ორთქლი სასიამოვნოდ ელამუნება გაყინულ ცხვირზე და სიამოვნებისგან ელემენტარული საათივით ჩერდება...

უცებ მკერდს მიღმა მფეთქავ ორგნოს მღრღნელივით შეეპარება ის საშინელი გრძნობა, შიში... გულს აუჩქარებს, სულს აუფორიაქებს... დედამ რომ გაიგოს? საკმარისი ფული რომ ვერ მიიტანოს? როგორ გაიმართლებს თავს? რა მოხდება მერე? წამიერად თვალწინ წარმოუგდგება ის ხელჯოხი, რომელსაც მისი უფროსი ძმა „კოჭლის იმიჯის“ შესაქმნელად იყენებს ხოლმე, ამ ჯოხის დამატებითი ფუნქცია კი ძალიან ტკენს! ზოგჯერ ტკივილი ტკივილად არ ჰყოფნის ადამიანს და ცრემლი ცრემლად...

და მაინც რა საოცარი სურნელი ასდის ამ კრემიან ფუნთუშას, სითბოს სუნი აქვს, სიხარულის და ბედნიერების სუნი, სუნი რომელიც წამიერად გაიტაცებს ხოლმე ზღაპრულ სამყაროში და მზის სინათლეზე, სიმინდის მარცვლებივით გამოფენს მის პაწაწინა კბილებს... ერთი ლუკმა დარჩა, უყურებს თითქოს ენანება, რადგან ეს დასასრულია მისი ბედნიერებისა, უნდა რომ ბოლო ლუკმას განსაკუთრებით დიდი დრო დაუთმოს, კარგად შეიგრძნოს, რადგან იმ სამყაროში მეტხანს სურს დარჩენა. პირში ჩაიდებს და უცებ გაურკვეველ გემოს იგრძნობს, ისეთ გემოს ცომის სიტკბოს, ცრემლის ოდნავი სიმლაშე რომ შეერევა.

შემდეგ კი ისევ ჩავა მიწის ქვეშ. მატარებლის გაჩერებამდე სანამ მივა ხელში დაგროვებულ ხურდებს ითვლის, ერთი ფული ორი ფული სამი ფული და უცებ იგრძნობს, რომ ვიღაც დაეჯახა საკმაოდ ძლიერად, ქალის ყვირილის ხმაც გაისმა: ეე ბიჭო წინ იყურე! და იქვე – დედიკო, ჩემო საყვარელო, შენ რამე ხომ არ იტკინე? ჩაფიქრდა... მას ხომ არასდროს მიმართავდა ასე დედა!

მთელი ხურდები დაბლა დაეყარა და როდესაც ასაკრეფად დაიხარა შეამჩნია, რომ იმ ბავშვს, რომელიც დაეჯახა, ხელში სათამაშო ეჭირა, ის თამაშში იყო გართული, ეს ხურდების დათვლაში და ერთმანეთი ვერ დაინახეს. იმ ბავშვის „სათამაშოს“ რაღაც ეხატა უკანა მხარეს, ცოტა ულამაზოდ დახატულ ვაშლს გავდა, ბაზარში ქალებს ერთ ცალს რომ ააცლის ხოლმე დახლიდან და მერე გულამოვარდნილი გარბის, რათა მოახერხოს მარტო დარჩენა და ჭამა.

ხურდების აკრეფა სწრაფად დაასრულა, უმეტესი ნაწილი დაკარგა, რადგან ისინი მატარებლის ლიანდაგებში ჩაცვივდნენ და ახლა თავიდან უნდა დაეწყო შეგროვება! როგორც ჩანს, შემგროვებლობის თვისება პალეოლითის შემდეგ მთლიანად არ გამქრალა კაცთა მოდგმიდან.

კეთილო ხალხო, კეთილო მგზავრებო 5–10 თეთრით დამეხმარეთ...

შემდეგი სადგური „თავისუფლების“ მოედანი!